პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 83 (14079). | სამშაბათი, 9 აპრილი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

უკვე ას წელზე მეტია ისტორიული განვითარება მიმდინარეობს მარქსისტული თეორიით ნაწინასწარმეტყველევი გზით. ისტორიის ყოველ შემობრუნებასთან ერთად მარქსიზმი სულ ახალ და ახალ გამარჯვებას აღწევდა.

ცხოვრების სიმართლე მარქსიზმის მხარეზეა, იგი კვლავაც მოიპოვებს გამარჯვებებს, მოგვიახლოვებს ჩვენს პლანეტაზე კომუნიზმის სრული გამარჯვების დროს.



# მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი

## თეზისები კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის

**1968 წლის** 5 მაისს სრულდება მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის, გენიალური მოაზროვნის, მგზნებარე რევოლუციონერის, მსოფლიო პროლეტარიატის მასწავლებლისა და ბელადის კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავი.

კარლ მარქსმა თავის თანამოაზრესა და ერთგულ თანამებრძოლთან ფრიდრიხ ენგელსთან ერთად აღმართა კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა კაცობრიობის ისტორიის იმ გარდამტეხ დროს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ისტორიაში ყველაზე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. მარქსისა და ენგელსის მთელი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა ხელს უწყობდა ამ კლასის პოლიტიკურ და იდეურ განვითარებას.

მარქსის სიდიადე ის არის, რომ უპასუხა იმ კითხვებზე, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ისტორიული განვითარების მთელმა მსვლელობამ. მარქსმა უდიდესი გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის საზოგადოებრივ შეგნებაში, შეიმუშავა პროლეტარიატის მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელიც სწორად ასახავს ისტორიული განვითარების კანონებს. მან სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად გადააქცია, დაასაბუთა კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა. კ. მარქსმა შეაიარაღა მუშათა კლასი მისი ისტორიული მისიის — ექსპლოატატორული წყობილების მესაფლავისა და სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის — გაგებით, დასახა რევოლუციური თეორიისა და მუშათა მასობრივი მოძრაობის შეერთების გზები.

ბრძოლა პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი შინაარსი იყო, იგი იბრძოდა თავისი დაუოკებელი ბუნების მთელი მგზნებარებით. საბრძოლო დევიზით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მარქსმა და ენგელსმა დასაბამი მისცეს ორგანიზებულ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას.

არაჩვეულებრივად ძნელი იყო მარქსის ცხოვრების გზა. მას სდევნიდნენ ევროპის ყველა ქვეყნის რეაქციული ძალები, მოსვენებას არ აძლევდნენ ბურჟუაზიის იდეოლოგიური მეაბჯრენი. მაგრამ პროლეტარული რევოლუციონერის მოვალეობისადმი უსაზღვროდ ერთგული მარქსი ვაჟკაცურად იტანდა ყველა განსაცდელს.

რევოლუციურ ბრძოლასა და გაჭირვებაში მარქსს ყოველთვის უაღრესად საიმედო და ქმედით მხარდაჭერას უწევდა მისი თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი ენგელსი. ისინი ერთად იდგნენ ეპოქის რევოლუციურ მოვლენათა ცენტრში, ერთად იმუშავებდნენ პროლეტარიატის რევოლუციურ მოძღვრებას.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მათი საქმე განაგრძო ვ. ი. ლენინმა, რომელმაც მარქსიზმი ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა.

მარქსისტულმა იდეებმა ცხადყვეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა ეტაპზე. ამ იდეებმა უდიდესი როლი შეასრულეს **მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში**, როცა პროლეტარიატი თანდათან ხდებოდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, როცა ყალიბდებოდა პროლეტარული რევოლუციის არმია.

მარქსისტულ-ლენინური იდეები პროლეტარული რევოლუციისა და განთავისუფლებისათვის საბრძოლველად დარაზმული მშრომელთა მასების პრაქტიკული მოქმედების სახელმძღვანელო გახდა **იმპერიალიზმის ეპოქაში**, როცა კაპიტალიზმის შედარებით მშვიდობიანი განვითარების პერიოდს მოჰყვა მძაფრი რევოლუციური ძვრების ხანა, რომელიც რუსეთის 1905 წლის რევოლუციით დაიწყო. პირველმა მსოფლიო ომმა უკიდურესად გაამწვავა და გაშიშვლა კაპიტალისტური სისტემის უდიდესი წინააღმდეგობანი. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ისტორიაში პირველმა დაამკვიდრა მუშათა კლასის ძალაუფლება მშრომელ გლეხობასთან კავშირში, კაცობრიობას გაუკვალა სოციალიზმის გზა.

ახალ ტრიუმფს აღწევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება **თანამედროვე ეპოქაში**, რომელიც დაიწყო დიდი ოქტომბრის გამარჯვებით, — მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში. საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი მთელ რიგ სხვა ქვეყნებში პრაქტიკულად ხორციელდება საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებლობა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერულ საფუძველზე. ამ მოძღვრების ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაფიო გამოხატულება იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. ამავე დროს კაპიტალისტურ სამყაროში სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობანი და ძლიერდება პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა კლასობრივი ბრძოლები მონოპოლისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ; განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევის შედეგად დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. ბრძოლის მსვლელობაში საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო იცვლება ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, რომლებიც დაეუფლნენ მილიონთა გონებას, უდიდესი მატერიალური ძალა გახდნენ.

## I. მარქსი — უდიდესი თეორეტიკოსი და რევოლუციური პროლეტარიატის ბელადი

**1. მოძღვრება, რომელიც მარქსმა შეიმუშავა ენგელსთან თანამეგობრობით, წარმოადგენს მთლიან მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ, ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მწყობრ სისტემას.**

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფია, მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული სოციალიზმი, რომლებიც მარქსიზმის სამ განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. თვითეული ამ ნაწილთაგანი შედეგია იმისა, რომ მარქსმა და ენგელსმა კრიტიკულად აითვისეს და შემდგომ განავითარეს წინამორბედი საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია XIX საუკუნის სამ მთავარ მიმდინარეობაში, როგორიც იყო გერმანიის კლასიკური ფილოსოფია, ინგლისური პოლიტიკური ეკონომია და ფრანგული უტოპიური სოციალიზმი. მარქსიზმი მეცნიერების განვითარების მთავარი გზისაგან განზე კი არ წარმოშობილა, არამედ მთელ მის საუკეთესო მიღწევათა კანონიერი მემკვიდრე და განმგრძობი იყო. საზოგადოებრივი თეორიები, რომლებიც მარქსიზმს წინ უძღოდნენ, უპირატესად ჭვრეტითი ხასიათისა იყო. მათგან განსხვავებით მარქსიზმი ჩამოყალიბდა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლში და გახდა სამყაროს არა მარტო შეცნობის, არამედ მისი ძირეული გარდაქმნის მძლავრი იარაღი.

**ა) კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოახდინეს უდიდესი რევოლუციური გადატრიალება ფილოსოფიაში იმით, რომ შექმნეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე.**

მარქსამდელ პერიოდში ბევრ ფილოსოფოსს გამოუტანია მატერიალისტური დასკვნები. მაგრამ მათი მატერიალიზმი არ იყო ყოველმხრივი და თანმიმდევრული, ორგანულად არ ერწყმოდა განვითარების თეორიას, არ ვრცელდებოდა ადამიანთა საზოგადოების შემეცნებაზე. მარქსმა და ენგელსმა გადაჭრით დაძლიეს სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა იდეალიზმი და მეტაფიზიკა, შეაერთეს მატერიალიზმი და დიალექტიკა, გაავრცელეს მისი დებულებანი საზოგადოებრივი პროცესების შემეცნებაზე და შექმნეს ახალი, ჭეშმარიტად მეცნიერული ფილოსოფიური მოძღვრება — დიალექტიკური მატერიალიზმი.

მარქსიზმმა უარყო წინა ფილოსოფიის ჭვრეტითი ხასიათი და მიანიჭა მას აქტიური, გარდამქმნელი ხასიათი, მჭიდროდ დაუკავშირა იგი საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკას. „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, — წერდა მარქსი, — მაგრამ საქმე ისაა, რომ **შეცვლილ** იქნეს“. (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 494).

მარქსმა მატერიალიზმი მიუყენა ისტორიული განვითარების გაგებას და დაამტკიცა მატერიალური წარმოების განმსაზღვრელი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მარქსის აზრით, ისტორია კანონზომიერი პროცესია, რომლის მსვლელობაში ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია ცვლის მეორეს. მარქსმა დაასაბუთა ხალხის მასების გადამწყვეტი როლი ისტორიაში და ამ როლის გაძლიერება საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში. მარქსიზმი აღიარებს ისტორიული პროცესის ობიექტურ ხასიათს და დიდ როლს აკუთვნებს ადამიანის შეგნებულ საქმიანობას, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რევოლუციურ თეორიას.

**ბ) კ. მარქსმა შექმნა მეცნიერული პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიურად დაასაბუთა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლა და გამარჯვება.**

თავის მთავარ შრომაში „კაპიტალში“ და სხვა ნაშრომებში მარქსმა აღმოაჩინა ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობის ეკონომიური კანონები და კაპიტალისტური ექსპლოატაციის მექანიზმი, დაამტკიცა, რომ ექსპლოატაცია ხდება იმის შედეგად, რომ კაპიტალისტები ითვისებენ დაქირავებულ მუშათა შრომის აუნაზღაურებელი ნაწილის პროდუქტს. ამით გამოვლინდა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის შეურიგებელი კლასობრივი ანტაგონიზმის ყველაზე ღრმა საფუძველი. ზედმეტი ღირებულების თეორია გახდა მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედი.

მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ წარმოების კაპიტალისტური წესის რევოლუციური მოსპობის გზით. მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე ხდება წარმოების კაპიტალისტური განსაზოგადოება, მზადდება უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობილების — სოციალისტური წყობილების მატერიალური წანამძღვრები. მარქსმა გამოავლინა წინააღმდეგობანი ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მისი შედეგების კერძომესაკუთრულ მითვისებას შორის. ეს წინააღმდეგობა უდევს საფუძვლად კაპიტალიზმის ყველა სხვა წინააღმდეგობის გამწვავებას და სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წანამძღვარია. ამრიგად, დასკვნა, რომ სოციალისტური რევოლუცია გარდუვალია, უშუალოდ გამომდინარეობს მარქსისტული ეკონომიური თეორიიდან. სწორედ ამ თეორიისა და ისტორიის მატერიალისტური გაგების მეოხებით სოციალიზმს მიენიჭა მეცნიერული ხასიათი. მარქსის ეკონომიურ მოძღვრებაში ჩამოყალიბებულია სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

**გ) მეცნიერული სოციალიზმი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შექმნეს, მუშათა მოძრაობის რევოლუციური თეორია და პროგრამაა.**

კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევამ საშუალება მისცა მარქსსა და ენგელსს დაენახათ, რომ პროლეტარიატი არის ის სოციალური ძალა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა ყველა რევოლუციური ამოცანიდან ყველაზე რევოლუციური ამოცანა — მოსპოს კაპიტალიზმი, საერთოდ ყოველნაირი ექსპლოატაცია და ააშენოს კომუნისტური საზოგადოება. პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მისიის დასაბუთება მარქსის უდიდესი დამსახურებაა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს მოძღვრება სოციალისტური რევოლუციის შესახებ, რომელიც ერთადერთი შესაძლებელი საშუალებაა, რომ პროლეტარიატმა მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება და შექმნას ახალი საზოგადოების აშენების პირობები. ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მასების რევოლუციურ შემოქმედებას, ილაშქრებდნენ სოციალისტური რევოლუციის პრობლემებისადმი შაბლონური მიდგომის წინააღმდეგ, წამოაყენეს იდეა მისი განხორციელების მრავალფეროვანი ფორმების შესახებ.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გადაჭრით უარყვეს მემარჯვენე ოპორტუნისტული ცდები, რომ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის თეორია შეეცვალათ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი თანამშრომლობის ქადაგებით, ამხილებდნენ რეფორმისტულ ცრუაზრებს, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმთან, ისევე როგორც მტკიცებებს, თითქოს შეიძლებოდეს კაპიტალიზმის მანკიერებათა და წინააღმდეგობათა აღმოფხვრა მისი სოციალურ-ეკონომიური საფუძვლების შენარჩუნების პირობებში. ამავე დროს მარქსიზმის ფუძემდებლები ულმობლად აკრიტიკებდნენ წვრილბურჟუაზიული „მემარცხენე“ ოპორტუნისტებისა და სექტანტების ავანტიურისტულ ტაქტიკასა და ფსევდორევოლუციურ ფრაზეოლოგიას. ისინი იძლეოდნენ გაფრთხილებას იმ ცდების წინააღმდეგ, რომ „მოეხდინათ“ რევოლუცია რეალური ვითარების გაუთვალისწინებლად, ხაზს უსვამდნენ, რომ „რადიკალური სოციალური რევოლუცია დაკავშირებულია ეკონომიური განვითარების გარკვეულ ისტორიულ პირობებთან“ (თხზ., ტომი 18, გვ 612. რუს. გამოცემა).

მარქსი და ენგელსი განმარტავდნენ, რომ საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც არ შეიძლება განისაზღვროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალებით. რევოლუცია უნდა გრძელდებოდეს, სანამ ყველა შეძლებულ კლასს არ ჩამოაშორებენ ბატონობას, სანამ პროლეტარიატი არ მოიპოვებს სახელმწიფო ძალაუფლებას. ამ ბრძოლაში მუშათა კლასი გამოხატავს კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული ყველა მშრომელის და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის ინტერესებს. „ამიტომ გლეხობა თავის ბუნებრივ მოკავშირეს და ბელადს ჰპოვებს **ქალაქის პროლეტარიატში**, რომლის ამოცანაა დაამხოს ბურჟუაზიული წყობილება“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 374-375).

**მეცნიერული სოციალიზმის თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მოძღვრებას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.** კ. მარქსის თქმით, ახალი, რაც მან შეიტანა კლასობრივი ბრძოლის გაგებაში, ის არის, რომ: „1) **კლასების არსებობა** დაკავშირებულია მხოლოდ **წარმოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან**, 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე**, 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას **ყოველგვარი კლასების მოსპობაზე და უკლასო საზოგადოებაზე**“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II გვ. 554).

როცა პროლეტარიატი გაბატონდება, დაამტკიცეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა, იგი ვერ გამოიყენებს მზა ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანას, არამედ უნდა დაამსხვრიოს იგი და შექმნას სახელმწიფო ძალაუფლების ახალი სისტემა. პროლეტარიატის დიქტატურა ასრულებს ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის ისტორიულ მისიას, თრგუნავს დამხობილი ექსპლოატატორთა კლასების წინააღმდეგობას, სპობს პირობებს, რომელთა საფუძველზე არსებობდნენ ანტაგონისტური კლასები, ანგრევს ყოველივეს, რაც იცავდა და უზრუნველყოფდა კერძო საკუთრებას, წარმართავს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმის შეცვლა სოციალიზმით კანონზომიერი ისტორიული პროცესია, რომელიც მთელ რიგ სტადიებს გადის. მათ წინასწარ განჭვრიტეს კომუნისტური საზოგადოების შექმნის შემდეგი საფეხურები: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი და უმაღლესი ფაზა — საკუთრივ კომუნიზმი.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

# გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა გულითადად მიულოცეს ამხანაგებს ვ. ულბრიხტს, ვ. შტოფს, ი. დიკმანს, ე. კორენსს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას, გერმანელ მშრომელებს საზეიმო და ნათელი დღესასწაული — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი სოციალისტური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო მოწონება.

საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით მიღებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური კონსტიტუცია, ხაზგასმულია მისასალმებელ დეპეშაში, ევროპული და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. გერმანიის მიწა-წყალზე, სადაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მონოპოლისტებსა და იუნკრებს, ფაშისტებსა და მილიტარისტებს თავიანთი თავი გერმანელი ერის ბედის მარადიულ განმგებლებად მიაჩნდათ, ხალხმა თავისუფლად და გარკვეულად განაცხადა, რომ იგი სოციალიზმის მხარეზეა. დადგება დრო, როცა ყველა გერმანელი მშრომელი გააკეთებს ისეთსავე არჩევანს სოციალიზმის სასარგებლოდ, როგორიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხმა გააკეთა.

მხურვალედ ვუსურვებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს, ინტელიგენციას, მთელ მოსახლეობას ახალ გამარჯვებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობაში, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში, ნათქვამია დეპეშაში. (საკდესი).

# საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ირანში ვიზიტთან დაკავშირებით მიღებულია საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მხარეები მზად არიან სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად განაგრძონ მეცადინეობა იმისათვის, რომ შესუსტდეს საერთაშორისო დაძაბულობა, განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა, განხორციელდეს სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ახლო აღმოსავლეთში ვითარების საშიში გამწვავების გამო, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, მხარეებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ საჭიროა ამ რაიონის ყველა სახელმწიფოს მიეცეს შესაძლებლობა თავისუფლად და დამოუკიდებლად განვითარდნენ ისე, რომ მათზე რაიმე ზეგავლენას არ ახდენდნენ და მათს საქმეებში არ ერეოდნენ გარეშე ძალები, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ აქ კოლონიური წესები და თავიანთი გავლენა. მხარეებმა გამოთქვეს მტკიცე სურვილი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად ეცადონ, რომ დაუყოვნებლივ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია. მთავარი ამოცანა ის არის, ხაზგასმულია კომუნიკეში, რომ ისრაელის ჯარები გაყვანილ იქნან ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან.

მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ გრძელდება ვიეტნამის ომი, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობის შენარჩუნებას მთელ მსოფლიოში. მათ ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ ვიეტნამის საკითხი უნდა გადაიჭრას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებისა და ვიეტნამელი ხალხის იმ უფლების პატივისცემის საფუძველზე, რომ დამოუკიდებლად განაგებდეს თავის ბედს მის საქმეებში უცხოეთის ჩაურევლად.

ორივე მხარე, ხაზგასმულია კომუნიკეში, დაბეჯითებით მოითხოვს კოლონიალიზმისა და ყველა მისი ფორმის და გამოვლინების სრულ მოსპობას. მათ განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ხალხებს, რომლებიც განთავისუფლებისათვის, პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამო, და განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განავითარონ სსრ კავშირისა და ირანის ურთიერთობა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში. ამ ურთიერთობის განვითარება და შემდგომი განმტკიცება შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ირანელი ხალხის ინტერესებს, მათი უშიშროების ინტერესებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა სთხოვა მის უდიდებულესობას ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეჰლევის დედოფალთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს საბჭოთა კავშირს. ამ მოწვევას დაეთანხმნენ. ვიზიტის დრო დამატებით განისაზღვრება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტი ირანში, ხაზგასმულია კომუნიკეში, ახალი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ირანის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და ნდობის და ურთიერთგაგების განმტკიცების გზაზე, რაც სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა ინტერესებს და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს.

# მეგობრული ვიზიტი დამთავრდა

## ა. ნ. კოსიგინი ირანიდან გამოემგზავრა

**შირაზი.** 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** დაამთავრა ვიზიტი ირანში, სადაც იგი ირანის პრემიერ-მინისტრმა **ა. ჰოვეიდამ** მიიწვია, და დღეს დილით შირაზიდან მოსკოვში გაემგზავრა.

**ა. ნ. კოსიგინთან** ერთად გაემგზავრნენ სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. მურადიანი**, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. კახაროვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ვ. მ. ვინოგრადოვი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები **ლ. მ. ზამიატინი, ს. პ. კოჟევი** და **თ. თ. მოლოჩკოვი**.

შირაზის მოსახლეობამ გულთბილად გააცილა საბჭოთა სტუმრები. უკვე დილაადრიან ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რომლებიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ირანის სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და მისი თანმხლები პირების გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ მეცნიერების საქმეთა მინისტრი მ. რაჰნემა და ირანის ელჩი სსრ კავშირში **ა. მირფენდერესკი**, ა. ნ. კოსიგინის თანმხლები პირნი ირანში მოგზაურობის დროს, ფარსის პროვინციის გენერალ-გუბერნატორი, სადრი, მესამე არმიის სარდალი გენერალი მინბაშიანი და სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ირანში **ვ. ი. ეროფეევი**, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, საბჭოთა და ირანელი ჟურნალისტები.

მინისტრმა რაჰნემამ **ა. ნ. კოსიგინს** გადასცა ირანის პრემიერ-მინისტრის ჰოვეიდას, ირანის მთავრობისა და მთელი ირანელი მოსახლეობის მხურვალე სალამი და ყოველივე საუკეთესო უსურვა საბჭოთა კავშირის ხალხებს. მან თქვა, რომ ირანისა და სსრ კავშირის მეგობრობას საფუძვლად უდევს ორი ქვეყნის ისტორიულად დამკვიდრებული ურთიერთობა და იგი შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს. მან გამოთქვა რწმენა, რომ ა. ნ. კოსიგინის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ირანის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

**ა. ნ. კოსიგინმა** სთხოვა მინისტრს გადასცეს ირანის შაჰს, ირანის მთავრობასა და მთელ ირანელ ხალხს მადლობა გულითადი მიღებისა და მასპინძლობისათვის. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა რწმენა გამოთქვა, რომ სსრ კავშირისა და ირანის თანამშრომლობა და ურთიერთგაგება გაფართოვდება და განმტკიცდება ორივე ხალხის ინტერესებისათვის და რომ ამჟამად არის ამის ყველა საჭირო პირობა.

ა. ნ. კოსიგინი გულთბილად გამოეთხოვა გამცილებლებს, ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა გულთბილი მიღებისათვის და თვითმფრინავში ავიდა.

8 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით „ილ-18“ თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა და კურსი აიღო ჩრდილოეთისაკენ.

## ა. ნ. კოსიგინი მოსკოვში დაბრუნდა

**7 აპრილს** მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში შაჰინშაჰის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ამირ აბას ჰოვეიდას მიწვევით.

მოსკოვში დაბრუნდნენ აგრეთვე სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. მურადიანი, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კახაროვი და სხვა პირები, რომლებიც ა. ნ. კოსიგინს ირანში ახლდნენ. (საკდესი).

# მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

მარქსიზმის უმაღლესი დანიშნულებაა გამოარკვიოს ყველა სახისა და ფორმის სოციალური ჩაგვრისა და უთანასწორობისაგან ხალხის მასების სრული განთავისუფლების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მიზანშეწონილი ორგანიზაციის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, ბუნების ძალებზე ადამიანის გაბატონების პირობები და დასახოს მისი გზები. კომუნიზმი გულისხმობს ცალკეული პიროვნებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას. კომუნიზმი ჰუმანიზმის რეალური განსახიერებაა.

**2. მარქსმა განსაზღვრა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.** რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე მას საჭიროდ მიაჩნდა:

— მთელ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი როლის განხორციელება;

— მოძრაობის საბოლოო მიზნებისათვის ბრძოლის შეხამება მუშათა კლასის უახლოესი ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან;

— პროლეტარიატის მტკიცე კავშირი მშრომელთა ფართო ფენებთან და, უწინარეს ყოვლისა, გლეხობასთან;

— თავისუფლებისათვის პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეერთება ჩაგრული ხალხების დემოკრატიული, ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლისადმი მხარდაჭერასთან;

— პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება;

— მეცნიერული კომუნიზმის პრინციპებისადმი ერთგულება და ტაქტიკის მოქნილობა.

მარქსიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალის საერთაშორისო ძალას, სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის ცდებს გაერთიანებული ძალებით ჩაახშონ პროლეტარული მოძრაობა მუშათა კლასმა უნდა დაუპირისპიროს თავისი ინტერნაციონალური ერთიანობა. მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა მისი გამარჯვების აუცილებელი პირობაა. „წარსულის გამოცდილებამ, — წერდა მარქსი,— გვასწავლა, თუ როგორ ისჯება უგულებელყოფა ძმური კავშირისა, რომელიც უნდა არსებობდეს სხვადასხვა ქვეყნების მუშებს შორის და ამხნევებდეს მათ ურთიერთ მხარის დასაჭერად განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, როგორ შეუბრალებლად ისჯება მათი შეუკავშირებელი ღონისძიება საერთო დამარცხებით“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 434).

მარქსი მტკიცედ იბრძოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მუშათა კლასის ნამდვილი ეროვნული ინტერესები არათუ არ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალურ ინტერესებს, არამედ, პირიქით, ორგანულად ერწყმის მათ. ინტერნაციონალიზმის პრინციპების დავიწყება ზიანს აყენებს არა მარტო მთლიანად საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, არამედ უწინარეს ყოვლისა — ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასის ეროვნულ ინტერესებს.

კ. მარქსმა გამოავლინა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დამპყრობლური ომების წინააღმდეგ ბრძოლის ურთიერთკავშირი. იგი ყველა ქვეყნის პროლეტარებს მოუწოდებდა ერთად ემოქმედათ ექსპლოატატორთა და მათი მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებიც, ისახავენ, რა დანაშაულებრივ მიზნებს, იყენებენ ეროვნულ ცრურწმენებსა და ყაჩაღურ ომებში ღვრიან ხალხთა სისხლს და ფლანგავენ მათს სიმდიდრეს. „...მუშათა კლასი ისტორიის ასპარეზზე უკვე გამოდის არა როგორც მორჩილი შემსრულებელი, არამედ როგორც დამოუკიდებელი ძალა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა და შეუძლია მოითხოვოს მშვიდობა იქ, სადაც მისი ეგრეთწოდებული ბატონები ომზე გაჰყვირიან“ (თხზ., ტომი 16, 372-373 გვ).

**3. დაასაბუთა რა პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, მარქსმა გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა მისი კლასობრივი ორგანიზაცია.** იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროფკავშირებს, როგორც მუშათა მასობრივ ორგანიზაციებს ეკონომიური ინტერესებისათვის ბრძოლაში. მაგრამ მარქსის მოძღვრებით, პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მისი მოწინავე ხელმძღვანელი ძალა შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციური პარტია.

მარქსი დაუცხრომლად უსვამდა ხაზს, რომ პროლეტარული პარტიის იდეური ერთიანობა და შეკავშირებაა მისი ბრძოლისუნარიანობის წყარო. მან შეიმუშავა პარტიის ორგანიზაციული აგებულების საფუძვლები, პროლეტარული პარტიულობის პრინციპები: წესდებისა და პროგრამის შესრულების აუცილებლობა, უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, მკაცრი დისციპლინისა და ფართო შინაპარტიული დემოკრატიის შეხამება, პარტიის თვითეული წევრის უფლებათა დაცვა. მარქსმა და ენგელსმა გააცამტვერეს იდეალისტური თეორია გმირებზე, რომლებიც თითქოს ქმნიან ისტორიას, და მტკიცედ იბრძოდნენ ხელმძღვანელობის კოლექტიური მეთოდებისათვის, ცალკეულ მოღვაწეთა განდიდების წინააღმდეგ.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნეს პირველი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია — კომუნისტთა კავშირი, რომელიც გადაიქცა პროლეტარულ რევოლუციონერთა აღზრდის სკოლად და ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარული პარტიის ჩანასახი, როგორც პირველი ინტერნაციონალის წინამორბედი. კომუნისტთა კავშირის პროგრამა იყო მარქსისა და ენგელსის მიერ დაწერილი „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“.

1848-1849 წლების რევოლუციამ პრაქტიკულად დაადასტურა კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის დასკვნები. კომუნისტთა კავშირის წევრებმა მარქსისა და ენგელსის მეთაურობით უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს გაშლილ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში, იცავდნენ პროლეტარიატის ინტერესებს. „ახალი რეინის გაზეთი“, რომელსაც მარქსი რედაქტორობდა, გადაიქცა არა მარტო მოწინავე დემოკრატიის ტრიბუნად, არამედ მაორგანიზებელ რევოლუციურ ცენტრადაც. რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში მარქსის მოღვაწეობამ პროლეტარულ რევოლუციონერთა შეკავშირებისათვის და მის მიერ მეცნიერული თეორიის შემდგომმა დამუშავებამ უდიდესი როლი შეასრულეს პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი, უფრო მაღალი ეტაპის მომზადებაში.

**4. კ. მარქსის რევოლუციურ-პრაქტიკული მოღვაწეობის თვალსაჩინო მიღწევა იყო 1864 წელს პირველი ინტერნაციონალის — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის — დაარსება.** მარქსი იყო ინტერნაციონალის სულისჩამდგმელი, მისი ნამდვილი ბელადი, ყველა იმ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ავტორი, რომლებმაც განსაზღვრეს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლის ძირითადი მიმართულებანი. პირველი ინტერნაციონალი გახდა მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის განვითარების გზაზე, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის შეერთების პროცესში.

მარქსმა და ენგელსმა აღზარდეს პროლეტარულ რევოლუციონერთა ისეთი ბრწყინვალე პლეადა, როგორიც იყვნენ ა. ბებელი, ი. ფ. ბეკერი, ე. ვარლენი, ვ. ვოლფი, ფ. ზორგე, პ. ლაფარგი, ვ. ლიბკნეხტი, ლ. ფრანკელი და სხვ.

პირველი ინტერნაციონალის ფარგლებში მარქსი და ენგელსი მტკიცედ იბრძოდნენ არაპროლეტარული სოციალიზმის სხვადასხვა მიმართულების, რეფორმიზმისა და „მემარცხენე“ სექტანტობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წვრილბურჟუაზიული „რევოლუციონერობის“ იდეურ განადგურებასა და მასთან ორგანიზაციულ გამიჯვნას. წვრილბურჟუაზიული „რევოლუციონერობის“ გამომხატველნი იყვნენ ანარქისტები — მ. ბაკუნინი და მისი მიმდევარნი. მარქსმა დაგმო ანარქისტები, რომლებსაც არ სწამდათ მუშათა კლასის რევოლუციური შესაძლებლობანი, არ ესმოდათ მძლევამოსილი რევოლუციის ობიექტური პირობები. მან ცხადყო, რომ ანარქისტთა ცდებს გადახტომოდნენ რევოლუციური ბრძოლის ობიექტურად აუცილებელ ეტაპებს, სტიქიური ამბოხების ქადაგებას, პარტიის, როგორც მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი ძალის უარყოფას არსებითად მოჰყვება კაპიტულაცია ბურჟუაზიის წინაშე. მარქსმა დაგმო „მემარცხენე“ სექტანტობისათვის დამახასიათებელი გამთიშველური მოქმედება მუშათა მოძრაობაში და მას უწოდა პროლეტარიატის საქმის ღალატი.

პირველი ინტერნაციონალის დროშით საერთაშორისო პროლეტარიატი პირველად გამოვიდა როგორც მძლავრი რევოლუციური ძალა, რომელიც ამკვიდრებს „ახალ საზოგადოებას, რომლის საერთაშორისო პრინციპი იქნება **მშვიდობა**, რადგან თვითეულ ხალხს ეყოლება ერთი და იგივე მეუფე — **შრომა!**“ (თხზ., ტომი 17, გვ. 5. რუს.).

**ინტერნაციონალმა იდეურად მოამზადა მუშათა კლასი კაცობრიობის ისტორიაში პირველი ცდისათვის შექმნა პროლეტარული სახელმწიფო — 1871 წლის პარიზის კომუნა.** მარქსი და ენგელსი მხურვალედ მიესალმნენ პარიზის კომუნას, ცდილობდნენ კომუნის ხელმძღვანელებს დახმარებოდნენ თავიანთი რჩევით. განაზოგადა რა კომუნის გაკვეთილები, ანალიზი გაუკეთა რა მის წარმატებებსა და შეცდომებს, მარქსმა თვალსაჩინოდ ცხადყო, რომ საჭიროა მოწინავე თეორია და მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, განავითარა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რომელიც საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აუცილებელი პირობაა.

კომუნის შემდეგ მარქსიზმი თანდათან გადაიქცა მუშათა კლასის მთავარ მიმდინარეობად. იწყება ჰპოუელით ისტორიის ახალი ეპოქა — მარქსიზმის ფართო გავრცელების, მასობრივი სოციალისტური მუშათა პარტიების შექმნის ეპოქა.

**5. XIX საუკუნის დამლევს, როცა მეტ წილ კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე შეიქმნა მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიები, პირველ პლანზე კვლავ წამოიწია საერთაშორისო პროლეტარული გაერთიანების შექმნის ამოცანა.** ასეთი გაერთიანების ფორმა გახდა II ინტერნაციონალი, რომელიც დაარსდა 1889 წელს ფ. ენგელსის უშუალო მონაწილეობით.

კ. მარქსის სიკვდილის შემდეგ (1883 წლის 14 მარტი) ფ. ენგელსი კვლავ იყო საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი. მას თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის მარქსიზმის პროპაგანდასა და შემდგომ განვითარებაში. ენგელსი მტკიცედ იბრძოდა წვრილბურჟუაზიული სოციალისტური დოქტრინების წინააღმდეგ, მარქსიზმის დამახინჯებისა და ვულგარიზაციის ცდების წინააღმდეგ, ენერგიულად ილაშქრებდა როგორც ოპორტუნისტული შემარიგებლური ტენდენციების, ისევე „რევოლუციური“ ფრაზის მოყვარულთა წინააღმდეგ. იცავდა რა მარქსიზმის რევოლუციურ არსს, მას მიაჩნდა, რომ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს მარქსიზმის ძირითად დებულებათა დოგმატური გაგება, უუნარობა პრაქტიკულად გამოიყენონ იგი სხვადასხვა პირობებში. ენგელსი ავითარებდა და განამტკიცებდა კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობის მოღვაწეებთან, გამუდმებით ეხმარებოდა მათ რჩევით, უზიარებდა თავის უდიდეს გამოცდილებასა და ცოდნას. არსებობის პირველ პერიოდში ახალი ინტერნაციონალი ძირითადად მარქსიზმს ემყარებოდა. იგი ხელს უწყობდა მარქსიზმის შემდგომ განმტკიცებას, მის გავრცელებას მებრძოლი პროლეტარიატის ფართო მასებში, პროფკავშირულ, კოოპერაციულ, ქალთა, ახალგაზრდულ და მუშათა კლასის სხვა მასობრივ ორგანიზაციათა განვითარებასა და განმტკიცებას, აგრეთვე ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გამოყენებას მშრომელთა ინტერესებისათვის.

მაგრამ ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, იმპერიალიზმის ეპოქის დაწყების შემდეგ II ინტერნაციონალის საქმიანობაში ძლიერდება ოპორტუნისტული ტენდენციები. ოპორტუნიზმმა, რომელმაც II ინტერნაციონალის ხელმძღვანელობაში გაიმარჯვა, ბოლოს და ბოლოს გამოიწვია მისი იდეურ-პოლიტიკური გადაგვარება და კრახი.

**6. კ. მარქსსა და ფ. ენგელსს ღრმად სწამდათ რუსეთის რევოლუციური შესაძლებლობანი.** მარქსი საფუძვლიანად, პირველწყაროებით სწავლობდა რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, კლასობრივი ძალების განლაგებას. იგი დიდად აფასებდა რევოლუციური დემოკრატების — ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის ნაწარმოებებს. მარქსი იცნობდა ბევრ რუს რევოლუციონერს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მათთან. ენგელსს სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა, არავინ არ შემხვედრია, რომ მარქსივით იცნობდეს რუსეთს, მის საშინაო და საგარეო მდგომარეობასო.

მარქსსა და ენგელსს მიაჩნდათ, რომ რუსეთის რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპისათვის, პროლეტარულ რევოლუციათა გამარჯვებისათვის დასავლეთში. აფასებდა რა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პერსპექტივებს, მარქსი წერდა, რომ მას „ბოლოს და ბოლოს გარდუვალად, შესაძლოა ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ, უნდა მოჰყვეს რუსეთის კომუნის შექმნა“ (თხზ., ტომი 19, გვ. 252, რუს.). ისტორიამ სავსებით დაადასტურა მარქსის ეს მეცნიერული განჭვრეტა.

**7. მარქსიზმის შემდგომი განვითარება, მისი ისტორიული როლის ზრდა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში, რევოლუციური ძალების შეკავშირება ინტერნაციონალიზმის საფუძველზე დაკავშირებულია მარქსის ერთგული მიმდევარის, მისი საქმისა და მოძღვრების გენიალური განმგრძობის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობასთან.** ახალ ისტორიულ ეპოქაში ლენინიზმი გახდა რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების ცოცხალი წყარო.

ლენინიზმი არის მარქსიზმის ახალი, უმაღლესი ეტაპი, მისი შემოქმედებითი განვითარება ახალ ისტორიულ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე და კომუნიზმზე კაცობრიობის გადასვლის პირობებში. ლენინიზმში აისახა პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის თანამიმდევრობა. იმ ახალს, რაც ლენინმა მარქსიზმში შეიტანა, საფუძვლად დაედო მარქსისა და ენგელსის მოძღვრების არსი და მეთოდი. ლენინი შეურიგებელი იყო ბურჟუაზიულ იდეოლოგთა და რევიზიონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცდილობდნენ გამოეშიგნათ მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი მისი გაუმჯობესების დროშით და იმ საბაბით, თითქოს სურდათ მოძველებულ დებულებათა დაძლევა. მაგრამ ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა მარქსისტული თეორიისადმი დოგმატური დამოკიდებულების წინააღმდეგაც. მარქსის მოძღვრებისადმი შემოქმედებითმა მიდგომამ შესაძლებლობა მისცა მას ყოველმხრივ განევითარებინა და გაემდიდრებინა რევოლუციური ბრძოლის თეორია, სტრატეგია და ტაქტიკა.

ლენინიზმი ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრებაა. ეს არის მთელი იმ მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნის განზოგადება, რაც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შემდეგ დაგროვდა. ლენინმა განავითარა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი. მან გაამდიდრა და დააკონკრეტა რევოლუციის მარქსისტული თეორია, გამოიტანა დასკვნა, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში, შეიმუშავა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის თეორია, განავითარა პროლეტარული რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეერთების იდეა. მარქსიზმის საგანძურში ვ. ი. ლენინმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა იმით, რომ შეიმუშავა მთლიანი და მწყობრი მოძღვრება ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შესახებ. ახალი ტიპის პირველი პარტია, მისი ნიმუში გახდა ბოლშევიკების პარტია, რომელიც ლენინმა შექმნა.

ლენინი მარქსისა და ენგელსის ღირსეული მემკვიდრე იყო არა მარტო როგორც გენიალური თეორეტიკოსი, არამედ აგრეთვე როგორც რევოლუციური ბრძოლის დიდი ორგანიზატორი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადმა, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა, მან პირველმა შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის პრობლემები და ხელმძღვანელობდა მათს პრაქტიკულ გადაჭრას.

ლენინის, ბოლშევიკური პარტიის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ხელს უწყობდა საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციურ აღზრდასა და შეკავშირებას, კომუნისტური პარტიების შექმნას სხვა ქვეყნებში.

ბოლშევიზმმა საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო, მან, წერდა ლენინი, **შექმნა** იდეური და ტაქტიკური საფუძვლები III ინტერნაციონალისა, მართლაც პროლეტარული და კომუნისტური ინტერნაციონალისა, რომელიც ითვალისწინებს მშვიდობიანი ეპოქის მონაპოვრებსაც და დაწყებული რევოლუციების ეპოქის გამოცდილებასაც“ (თხზულებანი, ტომი 28, გვ. 452). III კომუნისტურმა ინტერნაციონალმა, რომელიც ლენინის ინიციატივით შეიქმნა 1919 წელს, შეაკავშირა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მოწინავე, ყველაზე რევოლუციური ელემენტები, სერიოზულად შეუწყო ხელი მასებში კომუნიზმის იდეების გავრცელებას.

რევოლუციური თეორიის განვითარების ლენინური ეტაპი XX საუკუნის მარქსიზმი, თანამედროვე ეპოქის მარქსიზმია. ლენინური ეტაპი როდი განისაზღვრება ლენინის სიცოცხლის პერიოდით, ამ ეტაპს განუწყვეტლივ განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მოძმე პარტიათა თეორიული საქმიანობა, იგი ხორცს ისხამს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პროგრამულ დებულებებში.

ჩვენს დროში მარქსისტულ-ლენინური აზრის უმნიშვნელოვანესი მიღწევებია თანამედროვე ეპოქის ხასიათის, მსოფლიოს რევოლუციური პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალებისა და პერსპექტივების განსაზღვრა, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალური პრობლემების, თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ქვეყნის სოციალიზმზე გადასვლის გზებისა და ფორმების შემუშავება.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე გამოვლინდა სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონზომიერებანი და მამოძრავებელი ძალები, განვითარდა და დაკონკრეტდა მარქსისტულ-ლენინური დებულებანი სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური და კულტურული მშენებლობის შესახებ, კლასობრივი სტრუქტურის შეცვლისა და კლასობრივი სხვაობის დაძლევის გზების შესახებ, სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შესახებ, სოციალიზმის კომუნიზმში თანდათანობითი გადაზრდის ამოცანებისა და პირობების შესახებ.

მარქსისტთა კოლექტიური მეცადინეობით რევოლუციური თეორიის შემდგომი შემუშავება საერთაშორისო კომუნიზმის დიდმნიშვნელოვანი ინტერნაციონალური ამოცანაა.

## II. სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი ტრიუმფია

**8. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლითაც დაიწყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლის ეპოქა, გაიმარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით.** სოციალიზმი, რომელზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო მოაზროვნენი, სოციალიზმი, რომელიც მარქსმა და ენგელსმა ოცნებიდან მეცნიერებად გადააქციეს, გახდა საბჭოთა ქვეყნის მილიონობით მშრომელთა ცხოვრების კონკრეტული შინაარსი. რევოლუციის მსვლელობაში განსახიერდა და განვითარდა მარქსიზმ-ლენინიზმის უმნიშვნელოვანესი იდეები მისი განხორციელების გზებისა და ფორმების შესახებ, პროლეტარული პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ოქტომბერმა ცხადყო დიდი ძალა და სიცოცხლისუნარიანობა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა დასკვნისა რევოლუციაში პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა აღადგინა მარქსისა და ენგელსის შეხედულებანი სახელმწიფოზე, რომლებიც ოპორტუნისტებმა დაამახინჯეს. მან განავითარა და დააკონკრეტა მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა და ახალი სახელმწიფო აპარატის შექმნის აუცილებლობის შესახებ. თავის პოლიტიკურ ძალაუფლებას პროლეტარიატი იყენებს ხალხის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებისათვის, რათა დაძლიოს დამხობილი კლასების გაფთრებული წინააღმდეგობა, დაიცვას რევოლუციის მონაპოვარნი გარეშე მტრებისაგან, განახორციელოს სოციალისტური მშენებლობა. ვ. ი. ლენინმა ცხადყო პროლეტარიატის დიქტატურის სოციალური საფუძველი — მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან, დაგვანახვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არის უმაღლესი ტიპის დემოკრატია, მილიონობით მშრომელის დემოკრატია.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამტკიცა სისწორე მარქსისტული განჭვრეტისა, რომ გარდუვალია კაცობრიობის ისტორიული გადასვლა ძველი კაპიტალისტური სამყაროდან ახალ, სოციალისტურ სამყაროში. კაპიტალიზმი აღარ არის ყოვლისმომცველი, გაბატონებული სისტემა. მსოფლიო გაიყო ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო სისტემად — კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებად.

**9. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მარქსისტული თეორია.** მან გამოავლინა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებანი და მთავარი ნიშნები.

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების გეგმას, რომელიც ლენინმა შეიმუშავა და, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

პირველი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიება მუშათა კლასისა, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება, არის ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, წარმოების საშუალებათა სოციალისტური განსაზოგადოება. წარმოებითს ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და, რომელიც ათასწლეულების მანძილზე არსებობდა და ამიტომ მარადიული და ურყევი ჩანდა, ცვლის სოციალისტური ურთიერთობა. ამ გარდაქმნათა მსვლელობაში ისპობა ექსპლოატატორთა კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ისპობა წარმოების ანარქია, კრიზისები და იქმნება მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის მატერიალური წანამძღვრები.

ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დროს გარედან რაიმე ეკონომიური დახმარების გაუწევლად უმოკლეს ისტორიულ ვადაში განხორციელდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში სოციალიზმმა უზრუნველყო გლეხთა საკითხის გადაჭრა. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გზა, წვრილ მეწარმეთა კოოპერირების გზა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმმა დასახა, გლეხთა ინტერესებს უხამებს მთელი საზოგადოების ძირეულ ინტერესებს. საბჭოთა კავშირის გამოცდილებამ ცხადყო, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის კოოპერირებამ და სახელმწიფო მეურნეობების — საბჭოთა მეურნეობების შექმნამ მოგვცა შესაძლებლობა არა მარტო გარდაგვექმნა სოფლის მეურნეობა სოციალიზმის საფუძველზე, არამედ აგრეთვე განგვეხორციელებინა ძირეული გარდაქმნანი სოფლის ცხოვრების ყველა დარგში.

სოციალიზმის პერიოდში კიდევ უფრო უმჯობესდება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, იზრდება საყოველთაო-სახალხო საკუთრების როლი და მნიშვნელობა, ვითარდება საკოლმეურნეო-კოოპერაციული წარმოება, მზადდება წანამძღვრები, რათა მომავალში შეიქმნას ერთიანი კომუნისტური საკუთრება.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია კულტურული რევოლუცია. კულტურული რევოლუცია მოიცავს: წიგნიერების, შემდეგ კი მეცნიერული ცოდნის საყოველთაო გავრცელებას მშრომელთა შორის, კაცობრიობის მიერ დაგროვილი კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებას და უფრო მაღალი კულტურის — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის — შექმნას; ადამიანთა სულიერი სახის შეცვლას, მასების შეგნებაში სოციალისტური იდეოლოგიის დამკვიდრებას, სოციალიზმის საქმისადმი ერთგული ახალი ინტელიგენციის შექმნას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა უაღრესი სისწორე მარქსისტულ-ლენინური დებულებისა, რომ სოციალიზმი იმარჯვებს დამხობილი ექსპლოატატორთა კლასების ნაშთების, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ მძაფრ კლასობრივ ბრძოლაში. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ იმპერიალიზმის დამკვრელ რაზმებთან სოციალიზმის ყველაზე დიდი სამხედრო შეტაკება იყო. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ ცხადყო სოციალისტური წყობილების სიცოცხლისუნარიანობა და უპირატესობანი, საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობა ფრონტზე და ზურგში.

**10. საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და დაიწყო ახალი პერიოდი — კომუნიზმის მშენებლობის პერიოდი.** კომუნისტური ფაზა, აღნიშნავდა მარქსი, დადგება სოციალისტური საზოგადოების ხანგრძლივი განვითარების შემდეგ, როცა მის წიაღში მომწიფდება კომუნიზმის ეკონომიური, სოციალური და კულტურული წანამძღვრები.

განავითარა და დააკონკრეტა რა ეს წინასწარდასახულობანი თანამედროვე პირობების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ XXII ყრილობაზე მიღებულ თავის პროგრამაში განსაზღვრა კომუნისტური მშენებლობის მთავარი ამოცანები: კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი ადამიანის აღზრდა. ეს ამოცანები შემდგომ ყოველმხრივ დასაბუთებული და განვითარებულია პარტიის XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. რომელიც ხელმძღვანელობს მარქსისა და ლენინის მითითებებით, იბრძვის იმისათვის, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენოს სოციალიზმის ეკონომიური კანონები კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამჟამად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი მეცადინეობა მიმართულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მისი ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების საფუძველზე პარტია სახავს საწარმოო ძალების შემდგომ მძლავრ ზრდას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სწრაფ ტემპებს.

პარტიამ დაასაბუთა, რომ საჭირო და შესაძლებელია ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ტექნიკურად ინდუსტრიული წარმოების დონემდე და ამ საფუძველზე დავძლიოთ არსებითი განსხვავებანი ქალაქისა და სოფლის ცხოვრების პირობებს შორის, ინდუსტრიულ და სასოფლო-სამეურნეო შრომას შორის.

სახალხო განათლების ფართოდ განვითარების, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების, საბჭოთა ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენების საფუძველზე მიმდინარეობს ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების გაქრობის პროცესი.

კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. იქმნება ადამიანის პიროვნების — მსოფლიოში ამ უმაღლესი ღირებულების ყოველმხრივი განვითარების საუკეთესო პირობები. ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის — ასეთია პარტიის ლოზუნგი.

ეკონომიური რეფორმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, აფართოებს სოციალიზმის კანონების მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენების შესაძლებლობას ცენტრალიზებული მართვისა და ადგილობრივი ინიციატივის სწორად და ეფექტიანად შეხამების, ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების გაძლიერების

(დასასრული მე-3 გვ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი

(დასასრული)

გზით. ეს რეფორმა ხელს უწყობს სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობის განვითარებასა და სრულყოფას, სოციალისტური პრინციპის — „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს — შრომის მიხედვით“, უფრო სრულად გამოხატვას. პარტია ახორციელებს შრომის ნაყოფიერების გადიდების მარქსისტულ-ლენინურ იდეას საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების, შრომის მორალური და მატერიალური სტიმულების სწორად შეხამების საფუძველზე.

ღრმა სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა საფუძველზე სოციალიზმი ქმნის ახალი ტიპის საზოგადოებას — მხოლოდ მშრომელებისაგან შემდგარ საზოგადოებას, რომლებსაც აერთიანებს სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრება, ძირეული ინტერესების ერთიანობა. ისპობა სოციალური უთანასწორობის ნაშთები, მკვიდრდება ერებისა და ეროვნებათა, ქალისა და მამაკაცის ფაქტიური თანასწორობა. ყოველივე ეს განაპირობებს ხალხის სოციალურ-პოლიტიკურ და იდეურ ერთიანობას. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია ბევრად დაუახლოვდნენ ერთმანეთს ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში. ამასთან ერთად სოციალისტურ საზოგადოებაში შენარჩუნებულია მუშათა კლასის როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ორგანიზებული ძალის წამყვანი როლი.

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში ჩქარდება სსრ კავშირის ხალხთა ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა მხარის განვითარების დონის გათანაბრება, ხდება სოციალისტური ერების დაახლოება და ურთიერთგამდიდრება, განუწყვეტლივ ვითარდება საერთო თვისებები მათს კულტურულ, სულიერ ცხოვრებაში. ამასთან ერთად სულ უფრო სრულად ვლინდება თვითეული ერისა და ეროვნების სასიცოცხლო ძალები და ნიჭი, ვითარდება მათი ეკონომიკა, იფურჩქნება მათი კულტურა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებზე აღზრდილი სსრ კავშირის ყველა ერი და ეროვნება გვიჩვენებს ახალი საზოგადოების მშენებლობაში, თავიანთი საერთო სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაცვაში ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ძმური ურთიერთდახმარების მაგალითს. სულ უფრო მტკიცე ხდება სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა.

სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში ხორცი ესხმება მარქსისა და ლენინის იდეებს სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის შესახებ, სოციალისტურ საზოგადოებაში ხალხის ხელისუფლების განვითარების შესახებ.

ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც ემსახურება პრივილეგიური უმცირესობის ინტერესებს, სოციალიზმი უზრუნველყოფს ნამდვილ დემოკრატიას მშრომელებისათვის, მთელი ხალხისათვის. სოციალისტური წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე უზრუნველყოფს მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების განხორციელების რეალურ გარანტიებს, ფართო სარბიელს სახავს მათი შემოქმედებითი ინიციატივისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სსრ კავშირში პრაქტიკულად განხორციელებულია შრომის, განათლების, დასვენების, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლებანი, სიტყვის, პრესის, კრებებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის თავისუფლება. ამასთან საბჭოთა კავშირის მშრომელები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. საზოგადოების, სახელმწიფო საქმეების მართვაში ებმებიან მშრომელთა უაღრესად ფართო მასები. სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვების შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ხდება მთელი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის. საერთო-სახალხო სახელმწიფო კომუნისტური თვითმმართველობის გზაზე სოციალისტური სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარებაა.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე იზრდება კომუნისტური პარტიის როგორც საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის როლი. მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გზით, წარმატებით ასრულებს მთელი საბჭოთა ხალხის ორგანიზატორისა და პოლიტიკური ბელადის როლს.

1967 წელს საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს ხალხებმა აღნიშნეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. ეს არის პირველი ნახევარი საუკუნე, როცა კაცობრიობა წინაისტორიიდან შევიდა ნამდვილ ისტორიაში; ეს არის კომუნისტური ერის პირველი ნახევარი საუკუნე.

## III. მარქსიზმ-ლენინიზმი და თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესი

11. **მარქსიზმ-ლენინიზმი ღრმად აჩენს თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესის არსსა და კანონზომიერებებს.** ამ რევოლუციური პროცესის ძირითადი ძალებია:

— ხალხები, რომლებიც სოციალიზმსა და კომუნიზმს აშენებენ;

— კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, რომელიც სათავეში უდგას ხალხის მასების ბრძოლას მონოპოლიათა ძალაუფლების წინააღმდეგ;

— ჩაგრული ხალხებისა და განვითარებადი ქვეყნების ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რევოლუციები, რომლებსაც მარქსმა ხატოვნად ისტორიის ლოკომოტივები უწოდა, იყო და კვლავ არის კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონი. უეჭველია, ყოველ რევოლუციას ახასიათებს თავისებურებანი, რომლებსაც ისტორიული, ეროვნული პირობების თავისებურებანი კლასობრივი ძალების განაწილებისა და თანაფარდობის სპეციფიკა წარმოშობს. მაგრამ ყოველმა ხალხმა სოციალიზმის მისაღწევად რევოლუციურად უნდა დაამხოს კაპიტალისტური წყობილება, საერთოდ ექსპლოატატორული ურთიერთობა.

რევოლუცია ყველა მშრომელთა საქმეა და მას ახდენს ხალხი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. მუშათა ხელმძღვანელ ბირთვს შეადგენს კომუნისტური პარტია, რომელიც ასრულებს მასების დარაზმვის, მათი მისწრაფების ერთიანობისა და მოქმედების შეკავშირების უზრუნველყოფის დიად ამოცანას.

რევოლუციური ბრძოლის გარდუვალ კანონად ლენინმა გამოაცხადა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესი ვითარდება ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრულო ხალხებო, შეერთდით!“.

ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში პროლეტარიატის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა რევოლუციური სიტუაცია, რომელსაც ამზადებს როგორც პოლიტიკურ და სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების ობიექტური პროცესი, ისე სუბიექტური ფაქტორების მომწიფება. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ავანგარდის იმ ცდებს, რომ იმოქმედოს რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრების გაუთვალისწინებლად, შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას.

კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე გაქანება და მისი შინაარსი აგრეთვე ადასტურებს, რომ სავსებით სწორია მარქსისა და ლენინის არაერთი მითითება სოციალიზმისათვის ბრძოლისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის მჭიდრო კავშირის შესახებ. ამჟამად დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანები კიდევ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლა ერთიანი პროცესის ურღვევი რგოლებია. დემოკრატიული მიზნების მიღწევისათვის მასობრივი მოქმედება აფართოებს რევოლუციურ-გარდამქმნელი მოძრაობის სფეროს, ხელს უწყობს მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენების გაერთიანებას, მძლავრი პოლიტიკური ძალის შექმნას რეაქციისა და ომის ძალების წინააღმდეგ იერიშისათვის. ჩნდება ერთიანი საბრძოლო საერთაშორისო ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნის წანამძღვრები.

12. **კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში, სოციალიზმის განმტკიცება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში მსოფლიო რევოლუციური პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.** კომუნისტური საზოგადოების დიდებულ შენობას რომ აგებს, საბჭოთა ხალხი წყვეტს არა მარტო თავის ეროვნულ ამოცანებს, არამედ ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობასაც, ამრავლებს რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალებს და განამტკიცებს მის ბაზას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა მსოფლიო მასშტაბით. ოქტომბრის იდეებისა და სსრ კავშირში სოციალიზმის წარმატებათა ზემოქმედებით, მეორე მსოფლიო ომის წლებში იმპერიალიზმის დამკვრელი ძალების განადგურების შედეგად გაიზარდა და განმტკიცდა სოციალიზმის ძალები მთელ მსოფლიოში, შესუსტდა მსოფლიო კაპიტალიზმის პოზიციები. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში გაიმარჯვეს სოციალისტურმა რევოლუციებმა. ამ ქვეყნების ხალხები დაადგნენ სოციალიზმის გზას. შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა — საერთაშორისო პროლეტარიატის პირმშო, მისი მთავარი მონაპოვარი, მისი სიამაყე და იმედი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემამ თავისი არსებობის მეოთხედ საუკუნეზე ნაკლებ დროში ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში დაამტკიცა თავისი უდიდესი უპირატესობა კაპიტალიზმის დრომოჭმულ სისტემასთან შედარებით. მისი განვითარებისა და განმტკიცების კვალობაზე იზრდება მარქსიზმ-ლენინიზმის ზემოქმედება მსოფლიო განვითარებაზე, სულ უფრო გადაჭრით იცვლება პირობები და საერთაშორისო ვითარება საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი ძალების სასარგებლოდ.

იმ ქვეყნების დაახლოება, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ერთიანობის განმტკიცება კომუნისტური და მუშათა პარტიების ინტერნაციონალური მოვალეობაა. მარქსმა უანდერძა მუშებს, რომ, როცა ხელისუფლების სათავეში ჩადგებიან, იბრძოლონ „წარმოების საზოგადოებრივი ფორმების ჰარმონიული ეროვნული და ინტერნაციონალური კოორდინაციისათვის“ (თხზ., ტ. 17, გვ. 553, რუსულ ენაზე).

სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამშრომლობა ხელს უწყობს მატერიალური რესურსების ყველაზე რაციონალურად გამოყენებას და საწარმოო ძალების განვითარებას. სოციალისტურმა სისტემამ, რომელიც მნიშვნელოვნად უსწრებს კაპიტალისტურ სამყაროს ეკონომიური განვითარების ტემპებით, მიაღწია იმას, რომ სულ უფრო იზრდება მისი წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში, არსებითად შესუსტა კაპიტალიზმის ძალები, შეარყია განვითარებადი ქვეყნების ძარცვის იმპერიალისტური სისტემა. ისტორიის პრაქტიკა ადასტურებს ლენინის იმ დებულებას, რომ სოციალისტურ რესპუბლიკათა გარშემო ირაზმებიან ყველა ქვეყნის მოწინავე მუშათა სოციალისტური მოძრაობანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი. სოციალისტური ქვეყნები საიმედო დამცველნი არიან ახალგაზრდა სახელმწიფოებისა, რომლებიც სოციალური პროგრესის გზას ადგანან. ისინი უწევენ მათ ფართო ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას, აგრეთვე ხელს უწყობენ საკუთარი ეროვნული კადრების მომზადებაში. სოციალისტური ქვეყნებისა და ახალგაზრდა პროგრესული სახელმწიფოების ურთიერთობა მნიშვნელოვნად ავიწროებს იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის სფეროს, სოციალიზმის იდეები კი სულ უფრო ფართოდ ვრცელდება აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში.

სოციალური პროგრესის სერიოზული ფაქტორია სოციალისტური ქვეყნების ნამდვილად მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იმპერიალისტთა რეაქციული, აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, ყოველივე მოწინავის, დემოკრატიულის დასაცავად, ხალხთა საარსებო ინტერესების დასაცავად.

13. **თანამედროვე ეპოქაში განუზომლად გაიზარდა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მოძრაობა.** საბრძოლო პრაქტიკული მნიშვნელობა მიენიჭა მარქსის იმ სიტყვებს, რომ კაცობრიობის აღორძინების საქმე მუშათა კლასის ხელშია, რომ ეს კლასი იბრძვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, როგორც მზე წყვდიადის წინააღმდეგ.

თანამედროვე კაპიტალიზმს ახასიათებს რთული და საწინააღმდეგობრივი პროცესები, რომელთა შედეგად კიდევ უფრო ღრმავდება მისი საერთო კრიზისი. მონოპოლისტური ბურჟუაზია იძულებულია მიმართოს ეკონომიკის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას, მანევრირებას ეკონომიურ და სოციალურ დარგებში.

მუშათა კლასის ბრძოლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლენინის მიერ დადგენილ იმ ობიექტურ ტენდენციას, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი გადაიზრდება სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, რომელიც აერთიანებს მონოპოლიებისა და ბურჟუაზიული ბატონობის ძალას ერთიან მექანიზმად. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი მოქმედებს მონოპოლიათა გამდიდრების, მშრომელთა ძარცვის, მუშათა მოძრაობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობის, აგრესიული ომების ატეხის ინტერესებისათვის, რაც ამწვავებს კაპიტალიზმის ყველა წინააღმდეგობას. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა სერიოზულ შერყევას განიცდის, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს, კერძოდ, სავალუტო-საფინანსო სისტემის მწვავე კრიზისი.

მონოპოლისტური ბურჟუაზია ცდილობს მაქსიმალურად გაადიდოს ზედმეტი ღირებულების ნორმები შრომის ინტენსიფიკაციის, დაქირავებულ მუშათა ფიზიკური ძალებისა და ნერვული სისტემის მაქსიმალურად დაძაბვის გზით. თავის მხრივ, მუშები, როგორც მარქსი აღნიშნავდა, განუწყვეტელ ზეგავლენას ახდენენ საპირისპირო მიმართულებით. „ეს საკითხი თავისთავად იქცევა მებრძოლი მხარეების ძალთა შეფარდების საკითხად“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I გვ. 509).

თანამედროვე პირობებში, როცა არსებობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, როცა ბურჟუაზიის შიში პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლების წინაშე გაიზარდა, კლასობრივი ბრძოლის მასშტაბი და დაძაბულობა კი გადიდდა, მუშათა კლასს საშუალება ეძლევა გამოგლიჯოს მეწარმეებს გარკვეული დათმობანი.

მსოფლიო სოციალიზმის წარმატებებმა, კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავებამ, დემოკრატიული მოძრაობის განვითარებამ კაპიტალის ქვეყნებში, კომუნისტთა გავლენის გაძლიერებამ მნიშვნელოვნად შეცვალა კლასობრივი ბრძოლის პირობები მუშათა კლასის სასარგებლოდ:

— ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის ბრძოლა ორგანულად უკავშირდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მიღწევებს;

— სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, როცა პროლეტარიატის უშუალო მოწინააღმდეგედ ეკონომიური ურთიერთობის დარგშიც გამოდიან არა მარტო ცალკეული მეწარმეები და მათი გაერთიანებანი, არამედ თვით ბურჟუაზიული სახელმწიფო, მშრომელთა ეკონომიური ბრძოლა მიმართულია ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ;

— გაიზარდა იმის შესაძლებლობანი, რომ მუშათა კლასმა გამოიყენოს კაპიტალისტურ ქვეყნებში მოპოვებული დემოკრატიული უფლებები მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად;

— მუშათა და ყველა მშრომელთა საერთო-დემოკრატიული ბრძოლა მონოპოლიების ძალაუფლების წინააღმდეგ, იმპერიალისტურ მთავრობათა აგრესიული და რეაქციული კურსის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის არყევს იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოზიციებს და ამზადებს ფართო ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას;

— გაიზარდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ობიექტური წანამძღვრები, გამდიდრდა სოციალისტური რევოლუციის საშუალებათა არსენალი, ძალაუფლების მოპოვების ფორმები და მეთოდები;

— კომუნისტური პარტიების დროშებს ქვეშ დგებიან მუშათა ახალ-ახალი რაზმები, მტკიცდება კომუნისტთა — მუშათა კლასის ნამდვილ ხელმძღვანელთა ავტორიტეტი.

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში დადგა კლასობრივი ბრძოლების ახალი ეტაპი და ამხილებს, რომ შეუთავსებელია სოციალ-რეფორმისტული კონცეპციები კლასობრივი ბრძოლის ქრობისა და სოციალიზმად კაპიტალიზმის ევოლუციური გარდაქმნის შესახებ.

საერთაშორისო მუშათა კლასის წარმატებათა უმნიშვნელოვანესი საწინდარია მისი რიგების ერთიანობა და შეკავშირება. მუშათა კლასის შეკავშირებისათვის ძირს გამოთხრა ხელსაყრელია მხოლოდ იმპერიალისტური რეაქციისათვის. მუშათა მოძრაობის გათიშვის შენარჩუნებით დაინტერესებული არიან მმართველი კლასების პოლიტიკური და იდეოლოგიური ლაქიები, სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირების მემარჯვენე ლიდერები.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საბოლოო გამარჯვების აუცილებელი პირობაა ყველა მისი რაზმის მჭიდრო ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება. „მხოლოდ მუშათა კლასის ინტერნაციონალურ კავშირს შეუძლია უზრუნველყოს მისი საბოლოო გამარჯვება, — გვასწავლის მარქსი, (თხზ. ტ. 16, გვ. 336 რუს. გამოცემა).

14. **საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური გამარჯვებების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განხორციელების შედეგად დადგა კოლონიური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლების ერა.** იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის კრიზისი დაიწყო დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, რომელმაც პრაქტიკულად განახორციელა მარქს-ენგელს-ლენინის იდეები სოციალისტური რევოლუციისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე სსრ კავშირში ეროვნული საკითხის წარმატებით და სამართლიანმა გადაჭრამ ახალი სტიმული მისცა კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. სსრ კავშირის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოქმნამ ხელსაყრელი ვითარება შექმნა ამ ბრძოლისათვის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების შეტევის შედეგად დაიშალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი რაზმი — განთავისუფლებულ სახელმწიფოთა ახალგაზრდა მუშათა კლასი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია მიმართულია იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მტერი იყო და კვლავ არის იმპერიალიზმი და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი. იმპერიალიზმი ცდილობს ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში დატოვოს არათანასწორუფლებიან მდგომარეობაში, შეაფერხოს და ძირი გამოუთხაროს ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას. ამერიკის შეერთებული შტატები დანაშაულებრივ ომს ეწევა ვიეტნამში. ვიეტნამელი ხალხის ბრძოლა ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხის გმირობის, სიმტკიცისა და ვაჟკაცობის შესანიშნავი მაგალითია. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველმხრივ ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს მის სამართლიან ბრძოლაში.

იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას გამოხატავს აგრეთვე არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის ინსპირირება და მხარდაჭერა, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევა ამერიკის კონტინენტის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, აფრიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მიზნით.

მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგული კომუნისტური და მუშათა პარტიები მუდამ თანმიმდევრულად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩაგრულ ხალხებს მიეცეთ დამოუკიდებლობა, საბოლოოდ მოისპოს კოლონიალიზმი. მარქსისტული ლოზუნგი: „თავისუფალი ვერ იქნება ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს!“ — კომუნისტური მოძრაობის საპროგრამო მოთხოვნა გახდა.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალები იღწვიან კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის სრული და საბოლოო მოსპობისათვის, ყოველნაირ დახმარებას უწევენ ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებს ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის, ილაშქრებენ ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში იმპერიალისტთა ჩარევის წინააღმდეგ.

განვითარებადი ქვეყნების წინაშე ისახება შესაძლებლობა იარონ სოციალური პროგრესის გზით განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად. ბევრ განთავისუფლებულ ქვეყანაში სიმძიმის ცენტრი მოდის ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ამოცანების გადაწყვეტაზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერი შედეგი ის არის, რომ სულ უფრო ესწრაფვიან სოციალიზმს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის ხალხები. იზრდება ეროვნულ სახელმწიფოთა ახალგაზრდა რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიების ურთიერთობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან, და ამ [illegible] რომლებიც სოციალიზმის პოზიციებზე დგებიან, ავტორიტეტული ძალაა, რომელიც [illegible] მშრომელთა ფართო ფენებს.

15. **თანამედროვე კომუნისტური პარტიები მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდია, რომელიც სათავეში უდგას მშრომელთა განმათავისუფლებელ მოძრაობებს.** ამ ბოლო ათი წლის მანძილზე რევოლუციურ პროცესს ჭეშმარიტად მსოფლიო გაქანება მიეცა. სრულდება ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიან ნაკადად გაერთიანდებიან სულ სხვადასხვა ძალები და მოძრაობანი. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ასრულებს დიად ისტორიულ მისიას, აკავშირებს, აერთიანებს და საერთო მიზნისაკენ წარმართავს ყველა რაზმს, რომლებიც იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოდიან. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის პოლიტიკურად ორგანიზებული, ხელმძღვანელი ბირთვია, ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა, საზოგადოებრივი პროგრესის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კომუნისტურმა პარტიებმა დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ არა მარტო პროპაგანდა გაუწიონ, არამედ პრაქტიკულად განახორციელონ მეცნიერული კომუნიზმის დიადი იდეალები.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, რომელმაც დაამტკიცა თავისი სისწორე და სასიცოცხლო ძალა, ვითარდება, ვაჟკაცდება და მტკიცდება გადამწყვეტ ბრძოლაში ყველა იდეოლოგიურ მოწინააღმდეგესთან. ბურჟუაზია მარქსიზმ-ლენინიზმს ვერ უპირისპირებს ვერც ერთ მთლიან კონცეპციას. რეაქციის იდეური ბრძოლის ძირითადი იარაღია ანტიკომუნიზმი, ცილისწამება სოციალისტური წყობილების, კომუნისტური პარტიების პოლიტიკისა და მიზნების წინააღმდეგ. მაგრამ ვერაფერი ვერ შეაჩერებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებას მასებში, ვერაფერი ვერ შეასუსტებს რევოლუციური თეორიის გარდამქმნელ ძალას. იმპერიალისტური რეაქციის გაერთიანებულ ძალებს არ ძალუძთ წინაღუდგნენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზრდას, მის წარმატებებს.

სოციალისტურ სამყაროში მარქსისტულ-ლენინური პარტიები ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. მათ შეიძინეს სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის, თავიანთი ქვეყნების კონკრეტულ პირობებთან ამ მშენებლობის საერთო კანონზომიერებათა პრაქტიკულად გამოყენების უმდიდრესი გამოცდილება.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტები, რომლებიც სათავეში უდგანან მუშათა კლასს, ხალხთა მასების მოძრაობას წარმართავენ კაპიტალისტურ მონოპოლიათა ბატონობისა და თვითნებობის წინააღმდეგ, მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციის წინააღმდეგ, სახელმწიფოებრივ მონოპოლისტური კაპიტალიზმის მთელი სისტემის წინააღმდეგ.

კოლონიებსა და ახალგაზრდა ეროვნულ სახელმწიფოებში კომუნისტები იბრძვიან სრული ეროვნული განთავისუფლებისათვის, ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე თანმიმდევრულად მიყვანისა და არაკაპიტალისტური გზით ამ ქვეყნების განვითარებისათვის.

იმ ქვეყნებში, რომლებიც დაადგნენ განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, კომუნისტები აქტიურად თანამშრომლობენ დემოკრატიულ პარტიებთან, რომლებიც გამოხატავენ მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს, და ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილთან. იმ ქვეყნებში, რომლებიც უცხოეთის კაპიტალის ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ, მუშათა კლასი კომუნისტების მეთაურობით სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთად იბრძვის იმპერიალისტური ბატონობისა და იმ მმართველი დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც ღალატობენ ერების ინტერესებს.

მუშათა კლასის, მისი კომუნისტური ავანგარდის ინტერნაციონალური სოლიდარობა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების აუცილებელი პირობა და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამას დაუცხრომლად ამბობდნენ მარქსი, ენგელსი და ლენინი. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა წმიდად ასრულებს ამ ანდერძს. კომუნისტთა საერთაშორისო ერთიანობის შერყევა უმძიმესი დანაშაულია მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე. მაო ძე-დუნის ჯგუფი, ხელმძღვანელობს რა „მემარცხენული“ ფრაზით შენიღბული დიდმპყრობელური შოვინიზმით, ფეხქვეშ თელავს ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, გამოდის მარქსისტულ-ლენინური პარტიების წინააღმდეგ, ეწევა გამთიშველურ საქმიანობას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში. მარქსისტი-ლენინელები გადაჭრით უარყოფენ პეკინელ ხელმძღვანელთა იმ ცდებს, რომ მეცნიერული კომუნიზმი შეცვალონ მაო ძე-დუნის ანტიმარქსისტული „იდეებით“.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ძალაა მათი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი. რევოლუციური თეორიის სიწმინდის დაცვა, ბრძოლა ანტიმარქსისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ კომუნისტური პარტიების უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური ამოცანაა.

მთელი მსოფლიოს კომუნისტებს აერთიანებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება და ერთობლივი ბრძოლა მისი იდეების გამარჯვებისათვის. კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ თავიანთ თათბირებზე ერთად შემუშავებული დასკვნებითა და შეფასებებით, რომლებიც ეხება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს.

ამას წინათ გამართულმა 66 კომუნისტური და მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრამ საჭიროდ ცნო 1968 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოწვეულ იქნას კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი. თათბირის მიზანია განამტკიცონ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, ხელი შეუწყონ სოციალიზმისა და დემოკრატიის მთელი ძალების შეკავშირებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულება მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური მოძრაობის კანონია.

* * *

მარქსიზმ-ლენინიზმს, რომელიც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უმაღლესი მიღწევაა, კრიტიკული, რევოლუციური და ღრმად შემოქმედებითი ხასიათი აქვს. იგი დოგმა კი არ არის, გაქვავებულ დებულებათა კრებული კი არ არის, არამედ მოქმედების სახელმძღვანელოა. რევოლუციური თეორიის განუწყვეტელი გამდიდრება, მოძველებულ დებულებათა უკუგდება და ახალი, ცვალებადი სინამდვილის შესაბამისი დებულებების წამოყენება მარქსიზმის უმნიშვნელოვანესი თვისებაა.

განვითარების იდეით არის გამსჭვალული მარქს-ენგელს-ლენინის მთელი მოძღვრება. ეს მოძღვრება ნამდვილად მეცნიერული თეორია და ცოცხალი და განვითარებადი სინამდვილის კვლევისა და გარდაქმნის სწორი მეთოდია.

უკვე ას წელზე მეტია ისტორიული განვითარება მიმდინარეობს მარქსისტული თეორიით ნაწინასწარმეტყველევი გზით. ისტორიის ყოველ შემობრუნებასთან ერთად მარქსიზმი სულ ახალ და ახალ გამარჯვებას აღწევდა.

ცხოვრების სიმართლე მარქსიზმის მხარეზეა, იგი კვლავაც მოიპოვებს გამარჯვებებს, მოგვიახლოებს ჩვენს პლანეტაზე კომუნიზმის სრული გამარჯვების დროს.

**სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ცხოვრება

## მღელვარების ტალღა აზვირთდა

ნიუ-იორკი. „ჩიკაგოში ომია!" — იუწყებიან ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები დეპეშებში. ქუჩებში მუზარადიანი შეიარაღებული ჯარისკაცები პატრულობენ. უდაბურ, თითქოს ჩამკვდარ ქუჩებში დაქრიან სამხედრო „ჯიპები", სახანძრო მანქანები, სასწრაფო დახმარების მანქანები.

რეგულარული არმიის ხუთი ათასი ჯარისკაცი, ნათქვამია მეორე დეპეშაში, ტეხასიდან თვითმფრინავებით გადასხეს მღელვარების რაიონში. ქალაქში არის აგრეთვე ეროვნული გვარდიის შვიდი ათასი ჯარისკაცი, რომლებიც 6 აპრილს გაგზავნეს პოლიციელთა რაზმების დასახმარებლად. მაგრამ ხელისუფლებმა დღემდე ვერ „აღადგინეს წესრიგი" ქალაქში.

კვლავ დაძაბული მდგომარეობაა ამერიკის ბევრ სხვა ქალაქშიც. თეთრკანიანი რასისტის ტყვიამ, რომელიც ესროლეს დოქტორ კინგს მემფისში, უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მთელ ამერიკაში.

საბრძოლოდ არის გამზადებული ბალტიმორაში ეროვნული გვარდიის ექვსი ათასი ჯარისკაცი. ჯარები შეჰყავთ ამერიკის შეერთებული შტატების მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრ პიტსბურგში, ზანგთა მღელვარებაა ათობით სხვა ქალაქში.

შეერთებული შტატების ზანგი მოსახლეობის ბრძოლა სულ უფრო გაბედული ხდება, რადგან ეს არის ბრძოლა არსებობისათვის, ზანგის უფლებისათვის იწოდებოდეს და გრძნობდეს თავს ადამიანად.

## ამზადებენ ახალ სამსჯავროს...

ვაშინგტონი, 8 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი გ. მკრტჩიანი გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო ამზადებს ზანგთა ლიდერის სტოკლი კარმაიკლის გასამართლებას.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარი" აღნიშნავს, პროკურორი დევიდ ბრესი ახლა „ამზადებს მასალებს" კარმაიკლის სამართალში მისაცემად.

სენატორი დენიელ ბრიუსტერი არ დაელოდა გამოძიების შედეგებს და იუსტიციის მინისტრს კლარკს მოსთხოვა დააპატიმროს კარმაიკლი, რომელსაც ბრალად დასდო, რომ „მოუწოდებდა ძალადობისა და ბუნტისათვის". იუსტიციის მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში სენატორი აღნიშნავს, თითქოს კარმაიკლსა და ზანგთა სხვა ლიდერებს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ რასობრივი მღელვარებისათვის, რომელიც შეერთებულ შტატებს მოედო მ. ლ. კინგის მკვლელობის შემდეგ.

გაზეთ „ვაშინგტონ ივნინგ სტარის" კორესპონდენტის აზრით, კარმაიკლის წინააღმდეგ გამოიყენებენ პრეზიდენტ ჯონსონის მიერ ამას წინათ ხელმოწერილ კანონს, რომელიც ითვალისწინებს „ბუნტების" აღკვეთას ვაშინგტონში. ამ კანონის შესაბამისად განსასჯელს შეიძლება მიუსაჯონ 10 წლამდე პატიმრობა და 10.000 დოლარი ჯარიმა.

## დამთავრდა თათბირი თეთრ სახლში

**ვაშინგტონი, 8 აპრილი. (საქდესი). აქ დამთავრდა პრეზიდენტ ჯონსონისა და სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის ჯარების სარდლის გენერალ უესტმორლენდის ორდღიანი თათბირი, რომელიც ვიეტნამის ომის პრობლემებს მიეძღვნა.**

თეთრ სახლში კორესპონდენტთა წინაშე გენერალმა უესტმორლენდმა განაცხადა, რომ ამ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტი ჰემფრი, თავდაცვის მინისტრი კლიფორდი, სახელმწიფო მდივანი რასკი, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი უილერი და პრეზიდენტის სხვა მაღალი თანამდებობის მრჩევლნი, იხილავდნენ სამხრეთ ვიეტნამში სამხედრო მდგომარეობის, საიგონის ჯარების მობილიზაციისა და მოდერნიზაციის საკითხებს, მიმდინარე და მომავალ სამხედრო ოპერაციებსა და გეგმებს და სხვა პრობლემებს.

უესტმორლენდის განცხადებიდან ჩანს, რომ თეთრი სახლის თათბირზე განიხილეს ვიეტნამის ბინძური ომის შემდგომი ესკალაციის გეგმები. გენერალმა ოპტიმისტურად შეაფასა ამერიკის ჯარების მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში. მან განაცხადა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ამერიკის შეერთებულ შტატებს „არასოდეს არ ჰქონია ისეთი კარგი მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში", როგორც ახლა აქვს.

პრეზიდენტმა ჯონსონმა თქვა, რომ ვაშინგტონში გამოიძახა ამერიკის საიგონელი ელჩი ბანკერი სტრატეგიული თათბირების გასაგრძელებლად, რომელთა მოწყობასაც აპირებდა პრეზიდენტი გასული კვირის დამლევს ჰონოლულუში. ბანკერს მოელიან მომავალ კვირაში.

### მხოლოდ ფაქტები

● ბერლინი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 6 აპრილს გაიმართა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი სოციალისტური კონსტიტუციის პროექტისათვის. 7 აპრილს აქ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგების თანახმად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 12.202.110 მოქალაქიდან, რომლებსაც კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ, 11.536.265 (94,54 პროცენტი) კაცმა ხმა მისცა კონსტიტუციის მიღებას.

კენჭისყრაში მონაწილეობდა 11.970.437 კაცი — ხმის უფლების მქონეთა 98,1 პროცენტი.

● ლუქსემბურგი. 7 აპრილს საღამოს მუშაობა დაამთავრა ლუქსემბურგის კომპარტიის მე-19 ყრილობამ. ყრილობის დელეგატებმა განიხილეს და მოისმინეს მოხსენება, რომელიც ცენტრალური კომიტეტის სახელით გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ დ. ურბანიმ, მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი. ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში აირჩია 88 კაცი, პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში 11 კაცი. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიის თავმჯდომარედ აირჩია დ. ურბანი.

● რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის იუსტიციის მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომელიც კრძალავს „ფართო ფრონტის ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობას", რომლის შექმნას ცდილობდა ოპოზიცია ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის საბრძოლველად. პოლიციას ნაბრძანები აქვს დააპატიმროს მოქალაქენი და დახუროს გაზეთი, ჟურნალი და ყოველგვარი გამოცემა ამ ორგანიზაციის შესახებ მასალების გავრცელებისათვის.

## გლეზოსის სიცოცხლე საფრთხეშია!

● მანოლის გლეზოსი სერიოზულად ავად არის.

● იგი კვლავ დაკავებულია ჯუნძულ ლეროსზე.

● ხუნტა უარს ამბობს გლეზოსის ჰოსპიტალში გადაყვანაზე.

იუწყება გაზეთ „ლუმანიტეს" ხთენელი კორესპონდენტი კლოდ ანუევენი.

მანოლის გლეზოსს, რომელიც კუნძულ ლეროსის საკონცენტრაციო ბანაკშია დამწყვდეული, სამი კვირის წინათ დაეწყო ტუბერკულოზური პროცესის მკვეთრი გაუარესება. საბერძნეთის ეროვნული გმირი მოკლებულია სამედიცინო დახმარებას. ხუნტა უარს ამბობს მის ჰოსპიტალში გადაყვანაზე.

გლეზოსისადმი ასეთი ჯალათური მოპყრობა ერთ-ერთი მაგალითი როდია ხუნტის დანაშაულებრივი დამოკიდებულებისა პოლიტპატიმრებისადმი, რომლებიც საშინელ პირობებში ჰყავთ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში.

მარია კარაგეორგი, საბერძნეთის პარლამენტის ერთადერთი ქალი დეპუტატი, მძიმე მდგომარეობაში წევს ბანაკის „ჰოსპიტალში" კუნძულ იურაზე ქარიშხლის დროს, რომელშიაც კუნძულისაკენ მიმავალი ხომალდი მოჰყვა, მან გულის მძიმე შეტევა გადაიტანა. საბერძნეთის ხელისუფალნი დღემდე უარს ამბობენ უზრუნველყონ მისთვის აუცილებელი სამედიცინო მოვლა.

ავეროფის საპატიმროს, ერთ-ერთ საკანში იტანჯება ლეონიდას კირკოსი, ყოფილი დირექტორი საღამოს გაზეთ „დემოკრატიკი ალაგისა", რომელიც გადატრიალების შემდეგ აიკრძალა. მისი პატიმრობის საერთო ვადა ათი წელი და ცხრა თვეა.

### სროლა იორდანზე

ლონდონი. 8 აპრილი. (საქდესი). დღეს დილით ისრაელის ჯარებმა საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს იორდანიის ჯარების პოზიციებს მდინარე იორდანზე. იორდანიის არტილერიამ საპასუხო ცეცხლი გახსნა.

როგორც რეიტერის სააგენტოს ამანელი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომელიც იორდანიის სამხედრო სარდლობის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებას იმოწმებს, სროლა მოხდა ლტოლვილთა კარამეს ბანაკის რაიონში და დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

იორდანიას ზარალი არ განუცდია.

□

### გააძევეს ჩინეთის მოქალაქე

ქალაქ ტაშკენტში სამსახურის საქმეებზე ხანმოკლე ყოფნის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ჩენ ძი-სიანი ნებადაურთველ საქმიანობას ეწეოდა.

აეროდრომის ტერიტორიაზე ჩენ ძი-სიანმა დაარღვია ფოტოგრაფირების არსებული წესები და ხულიგნურად შეურაცხყო აეროდრომის თანამდებობის პირი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს აცნობა, რომ საბჭოთა კავშირში არსებული წესების დარღვევის გამო კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის მოქალაქე ჩენ ძი-სიანი დაუყოვნებლივ გააძევონ საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან და აუკრძალონ მას შემდგომ სსრ კავშირში შემოსვლა.

აღნიშნული ჩინელი მოქალაქე ჩვენი ქვეყნიდან გააძევეს ამა წლის 6 აპრილს.

(საქდესი).

## „მე ადამიანი ვარ"! — ასე აწერია ზანგ დემონსტრანტთა პლაკატებს




„მე ადამიანი ვარ" — წერია ზანგ დემონსტრანტთა პლაკატებზე მემფისში. ზანგის უფლებას ერქვას ადამიანი შესწირა სიცოცხლე მარტინ ლუთერ კინგმა. რასისტული ამერიკა ამ სამართლიან მოთხოვნას პასუხობს ხიშტებითა და ტყვიებით.

ფოტო გაზეთ „უნიტადან".

□

### კანადის ახალი პრემიერ-მინისტრი

ლონდონი. კანადის იუსტიციის მინისტრი პიერ ელიოტ ტრიუდო, რომელიც 6 აპრილს აირჩიეს მმართველი ლიბერალური პარტიის თავმჯდომარედ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე შეცვლის ლესტერ პირსონს.

როგორც რეიტერის სააგენტო ოტავიდან იუწყება, ტრიუდომ გამარჯვება მოიპოვა ოტავაში ლიბერალური პარტიის ყრილობაზე გამართული კენჭისყრის მეოთხე ტურში, სადაც მას ხმა მისცა 1.203 ამომრჩეველმა 2.365-დან.

## ინგლისის მთავრობის რეორგანიზაცია

**ლონდონი. (საქდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა მოახდინა თავისი მთავრობის მორიგი რეორგანიზაცია, რომელიც შეეხო მთავრობის 16 პოსტს.**

ყოფილმა ტრანსპორტის მინისტრმა ბარბარა კასლმა დაიკავა პირველი სახელმწიფო მდივნისა და დასაქმებისა და შრომის ნაყოფიერების საკითხთა სახელმწიფო მდივნის პოსტი. მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ მას მოუხდება გადაჭრას ძნელი ამოცანა, უნდა განახორციელოს მთავრობის მეტად არაპოპულარული პოლიტიკა „ფასებისა და შემოსავლის" დარგში, რომელიც პროფკავშირული მოძრაობისა და რიგითი ლეიბორისტების მზარდ წინააღმდეგობას აწყდება.

სოციალურ დარგში მთავრობის პოლიტიკის განხორციელება დაეკისრება რ. კროსმენს, რომელიც ინარჩუნებს საბჭოს ლორდ - თავმჯდომარის პოსტს. პრესის ლორდ-მცველად და თემთა პალატის ლიდერად დანიშნულია ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრი ფ. პიერტი.

კაბინეტის შემადგენლობიდან გამოყვანილია პ. გორდონ-უოკერი, რომელსაც რეორგანიზაციამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტი ეკავა. განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი გახდა ე. შორტი. მოხდა მინისტრთა სხვა პოსტების გადაჯგუფებაც. ასეთი გადაჯგუფებით ლეიბორისტული ლიდერები ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს აქტიურად საქმიანობდნენ და ამით იმედი აქვთ, რომ თავიანთი პოლიტიკის შეუცვლელად აღადგინონ ამომრჩეველთა ნდობა, შეასუსტონ ყურადღება არაპოპულარული ეკონომიური ღონისძიებებისადმი, რომელთა განხორციელება მშრომელთა ცხოვრების დონის დაქვეითებას იწვევს.

მაგრამ ინგლისის მთელი რიგი გაზეთების აზრით, ასეთი ღონისძიებანი ვერ დაეხმარებიან მთავრობას თავი დააღწიოს კრიზისს, რომელშიც აღმოჩნდა. „ინგლისის პროგრესული საზოგადოებრიობა, წერდა ამ დღეებში გაზეთი „მორნინგ სტარი", მოითხოვს კურსის მთლიანად შეცვლას როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში".



## დელისის მიდამოებში

დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა კვირას დელისის მიდამოებში მოტოკროსს ჩვენი ქვეყნის პირველობაზე 250 და 500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით.

ჩემპიონატის პირველი ტური შედგა სუმგაითში. ასპარეზობა დელისში შეუპოვარი გამოდგა. 250 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ძირითადი ბრძოლა წარიმართა ლ. შინკარენკოსა და ვ. არბეკოვს შორის. გამარჯვება ვ. არბეკოვს ხვდა. ლ. შინკარენკო მეორე იყო. მესამე ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. კლდიაშვილმა.

500 კუბური სანტიმეტრის მანქანებით პაექრობაში უძლიერესი იყო გ. დრაუზსი. მეორე ადგილი დაიკავა ა. ლებედევმა. გ. ბებიაშვილი მეოთხე იყო.

ჩემპიონატის მესამე ტური სოხუმში გაიმართება.

სურათზე: მოტოკროსის მეორე ტურში გამარჯვებულნი — ვ. არბეკოვი (მარცხნივ) და გ. დრაუზსი; მოტომრბოლელები სტარტზე; სპორტსმენთა ბრძოლა დისტანციაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## მამაცთა სპორტი

თუ წინათ მეხანძრეთა ასპარეზობა ნაკლებად პოპულარული იყო, ახლა იგი ერთ-ერთ მიმზიდველ შეჯიბრებად გადაიქცა. ამაზე მეტყველებს უკანასკნელი შეხვედრები, ჩემპიონატები.

ამ პაექრობებში ჩვენს რესპუბლიკას ცუდი მაჩვენებლები როდი აქვს. საკავშირო პირველობა სახანძრო გამოყენებითს სპორტში, რომელიც თბილისში მოეწყო, ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი და მიმზიდველი შეჯიბრება აღმოჩნდა. პროგრამაც მრავალფეროვანი იყო.

დაბრკოლებათა ასმეტრიანი ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. ბუკიამ. მან დისტანცია 19,9 წამში დაფარა.

საინტერესო გამოდგა ასპარეზობა ორჭიდში. სპორტის ოსტატმა ვ. გაბუნიამ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 37,7 წამი. პირველი იყო რსფსრ-ის წარმომადგენელი ვ. ერშოვი — 35,8 წამი.

შეუპოვარი გამოდგა პირველობისათვის ბრძოლა ესტაფეტაში — 4X100 მეტრზე. აქ უძლიერესი იყო რსფსრ-ის გუნდი. საქართველოს მეხანძრე სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

### მეოთხედფინალური...

გაიმართა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში.

სოფიაში თამაშობდნენ ბულგარეთისა და იტალიის გუნდები. წარმატება ბულგარელებს ხვდათ ანგარიშით 3:2.

საფრანგეთისა და იუგოსლავიის ნაკრებთა მარსელის შეხვედრაში მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დამთავრეს.

## მეტრეველი უტევს

პარიზი. 8 აპრილი, (საქდესი). სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი კვლავ წარმატებით გამოდის ჩოგბურთელთა საგაზაფხულო საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც ტრადიციისამებრ სამხრეთ საფრანგეთში იმართება. მან გაიმარჯვა კიდევ ერთ ტურნირში, რომელიც ახლახან დამთავრდა ნიცაში. ფინალში მეტრეველმა ერთეულთა შეჯიბრებაში დაამარცხა ავსტრალიელი ბარი ფილიპს-მური ანგარიშით 9:7, 5:7, 6:4, 6:2. ნახევარფინალში მეტრეველმა დაამარცხა პოლონეთის ჩემპიონი ვაცლავ გონშორეკი — 6:3, 6:1.

ბაქოელ სერგი ლიხაჩოვთან ერთად მეტრეველმა გაიმარჯვა ვაჟთა წყვილების თანრიგშიც, მათ დაამარცხეს ახალგაზრდა ინგლისელი ჩოგბურთელები ჯერალდ ბატრიკი და პოლ ჰატჩინსონი — 6:2, 6:2.

### ორი ფრე

სსრ კავშირის იუნიორთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები საზღვარგარეთ იმყოფებიან. პირველმა ევროპის არაოფიციალურ ჩემპიონატში ფრედ — 2:2 დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიის გუნდთან. მეორემ ამხანაგური მატჩი ჯაკარტის ნაკრებთან დაამთავრა 3:3.

## ა. ა. ჯომიდავა



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი აკაკი ალექსის-ძე ჯომიდავა.

ა. ჯომიდავა დაიბადა 1910 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარაში გლეხის ოჯახში. 1928 წელს დაამთავრა ოჩამჩირის საშუალო სკოლა, ხოლო 1934 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ა. ჯომიდავა იყო სკკპ წევრი 1939 წლიდან.

იგი მუშაობდა სახალხო გამომძიებლად, ქ. სოხუმის პროკურორად, თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორის თანაშემწედ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პრო[illegible] თანაშემწედ, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

ა. ჯომიდავა მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და მედლებით.

მეგობრებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, უბრალოებით, თავმდაბლობით, პრინციპულობითა და თავისი თავისადმი მომთხოვნელობით ა. ჯომიდავამ დაიმსახურა სიყვარული, პატივისცემა და მაღალი ავტორიტეტი, ვისთანაც კი იგი მუშაობდა და ვინც მას იცნობდა.

ნათელი ხსოვნა ა. ჯომიდავასი, როგორც ძვირფასი მეგობრისა და შესანიშნავი ადამიანისა, მუდამ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## რეკორდების ნიაღვარი

ასეთი ტრიუმფი არც კი ახსოვს ძალოსნობის ისტორიას. ეს მოხდა დუბნაში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს შტანგისტთა გამოსვლისას. ერთ ასპარეზობაში სსრ კავშირის 9 რეკორდი, რომელთაგან 6 მსოფლიო რეკორდს აღემატება, — ნამდვილი სენსაციაა.

საბჭოთა ძალოსნების ამ ზეიმში მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულეც — ქვემსუბუქი წონის შტანგისტი დ. შანიძე. ამ წონაში პირველად საკავშირო რეკორდი დაამყარა უზბეკეთის წარმომადგენელმა ე. ქარიმოვმა, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 380 კილოგრამი (125+112,5+142,5).

მაგრამ ამ რეკორდს დიდხანს არ უარსებია. იგი მოხსნა დ. შანიძემ — 382,5 კილოგრამი.

მაგრამ ეს ამ შეჯიბრებაზე დ. შანიძის ერთადერთი წარმატება როდი იყო. მან სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა აგრეთვე ატაცში — 117,5 კილოგრამი.

ქვესაშუალო წონაში წარმატება ხვდა მსოფლიოს ჩემპიონს ვ. კურენცოვს. მან აწია 160,5 კილოგრამი, რაც 2 კილოგრამით აღემატება მსოფლიო რეკორდს, ხოლო სამჭიდში აჩვენა 472,5 კილოგრამი და აქაც 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა წინანდელი მსოფლიო რეკორდი.

უკანასკნელ წლებში ესტონელი ქვემძიმე წონის შტანგისტის — ი. ტალტსის შედეგები ნამდვილად ტრიუმფალურია. მას ამ შეჯიბრებაშიც არ უღალატია ტრადიციისათვის — ოთხჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. ატაცში აჩვენა 153 კილოგრამი, აკვრაში — 190 კილოგრამი, სამჭიდში — 505 კილოგრამი. ი. ტალტსი ერთხელ კიდევ მივიდა ფიცარნაგთან, აკრა 195,5 კილოგრამი და შეჯიბრება 510 კილოგრამით დაამთავრა.

### „ა" კლასის მეორე ჯგუფში

დაიწყო „ა" კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატი. გუშინ გაიმართა პირველი მატჩები.

გაქვეყნებთ მესამე ქვეჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრების შედეგებს.

თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე პერმის „ზვეზდასა" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდების შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 2:0.

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშის" გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

მატჩი ტყიბულში მაგნიტოგორსკის „მეტალურგსა" და ტყიბულის „მეშახტეს" შორის დამთავრდა ტყიბულელთა გამარჯვებით 3:1.

### ბ. სპასკი თუ ე. გელერი?

სოხუმი. 8 აპრილი. (ტელეფონით საქ. კორ.). აქ გრძელდება მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ე. გელერის მატჩი ჭადრაკში. დღეს გათამაშდა მეოთხე პარტია. თეთრებით თამაშობდა ბ. სპასკი. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო ბ. სპასკის უპირატესობით.

მეხუთე პარტია 11 აპრილს გაიმართება.

**კომუნისტი სპორტი**

### ყველაზე მეტი შანსი

კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე მიმდინარეობს დასკვნითი შეხვედრები. ლიდერობას კვლავ თბილისის „დინამო" ინარჩუნებს. დინამოელებს ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსები აქვთ.

გასულ კვირადღეს და გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა რიგის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდების ორი მატჩი.

კვირის მატჩში თბილისელები საკმაო ხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ ტაიმის ბოლოს ხელიდან გაუშვეს ინიციატივა და წააგეს პირველი ნახევარი 31:32.

მეორე ნახევარში სტუმრებმა ვერა მარტო შეინარჩუნეს, არამედ გაზარდეს ქულათა სხვაობა და გაიმარჯვეს 70:65.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. მართალია, სტუმრებმა მოიგეს პირველი ტაიმი 44:38, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და გაიმარჯვეს 71:69.

კ. კობახიძე.

### გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

დიდ მადლობას ვუძღვნით ყველა ორგანიზაციას, ამხანაგებს, მეგობრებს, რომლებმაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ილია დავითის-ძე გოცირიძის გარდაცვალების გამო.

ი. გოცირიძის ოჯახი.



### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით შემდეგ სპეციალობებზე:

მათემატიკური ანალიზი, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ალგებრა და რიცხვთა თეორია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, დრეკადობის და პლასტიკურობის თეორია, თეორიული (ელემენტარული ნაწილაკების) ფიზიკა, კვანტური რადიოფიზიკა.

ასპირანტურაში მისაღები გამოცდები იწარმოებს 2 მაისიდან 15 მაისამდე.

ასპირანტურაში მიღების პირობების გაგება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი

დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდები მოეწყობა 1-დან 30 ივნისამდე. განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება 5-დან 25 მაისამდე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას ცნობა სამსახურიდან, შრომის წიგნაკის ამონაწერი და ჩათვლის წიგნაკი.



## რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

9 აპრილი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ა. ხაზანოვი სატელევიზიო სპექტაკლი „ორი წელი და მთელი ცხოვრება" პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — სატელევიზიო სპექტაკლი „დიდ გზაზე" (ლენინგრადის ტელევიზიის ნაწარმოები), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „მოამბე" საინფორმაციო გამოშვება, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი", 2. „დაიწყო მეოთხე მეოთხედი" (სტუდიაში — თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი კუტუბიძე), 19.20 — გადაცემა ციკლიდან — „ჩემო თბილის-ქალაქო" — „გზა მშვიდობისა", 19.45 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ემმაკის სამხრეებით" II სერია, 21.25 — „მოამბე" — საინფორმაციო გამოშვება, 21.45 — გადაცემა „იაკინთე ლისაშვილი" (მწერლის დაბადების 70 წლისთავის გამო), 22.55 — უნგრული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კაპიტანი ტენკეში" მე-10 სერია (ქართულ ენაზე).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 ს. და 18 ს.

### თეატრები

9 აპრილი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ყარამან ყანთელაძე, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — იცოცხლე, მრავალჟამიერ, რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები რკინიგზელთა სახლში — ასი წლის შემდეგ.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

კომუნისტი — თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები